საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/143 “ 18 ” ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. მესხიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, ქეთევან მესხიშვილი 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.

ნინო ქადაგიძე
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

ქეთევან მესხიშვილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის 3 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 12 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის ქეთევან მესხიშვილზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

ქეთევან მესხიშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის 16-წლიანი, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება. იგი 2010 წლის 1 დეკემბრიდან არის საერთო სასამართლოების მოსამართლე. თავდაპირველად იგი დანიშნული იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ და მივლინების საფუძველზე ახორციელებდა უფლებამოსილებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 2012 წლის 1 იანვრიდან იგი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე.

მოსამართლედ მუშაობის პერიოდში მის მიმართ არ დაწყებულა დისციპლინური დევნა, არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

სამოსამართლო საქმიანობის გარდა, ქეთევან მესხიშვილი ეწევა აქტიურ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას და არის არაერთი სამართლებრივი სალექციო კურსის ავტორი. 2016 წლიდან არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა საბჭოს წევრი და სკოლის ექსპერტი ისეთ საკითხებზე როგორიც არის: „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება“, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვა“, „სამოსამართლო ეთიკა“, „სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების ტექნიკა“, „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი შრომის სამართალი“, „სამეწარმეო სამართალი“ და სხვა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ ქეთევან მესხიშვილს გაესაუბრნენ 13 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა კანდიდატი ქეთევან მესხიშვილი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

ქეთევან მესხიშვილის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თხუთმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ ქეთევან მესხიშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1328 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 88.53%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის მე-2 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, ქეთევან მესხიშვილმა მოიპოვა 14 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 10 კანდიდატი, მათგან 3 მოქმედი მოსამართლე (1 - სააპელაციო ინსტანციიდან, 2 - პირველი ინსტანციიდან), 6 ყოფილი მოსამართლე და 1 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბებიაშვილი მიხეილ - 0 ხმა
2. გოგატიშვილი დიანა - 0 ხმა
3. დუგლაძე ქეთევან - 0 ხმა
4. ესებუა ზვიად - 0 ხმა
5. კლდიაშვილი ლაშა - 0 ხმა
6. კოხრეიძე ლეილა - 0 ხმა
7. მესხიშვილი ქეთევან - 14 ხმა
8. ურთმელიძე თამაზ - 0 ხმა
9. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
10. ხუჭუა ვლადიმერ - 0 ხმა

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - ქეთევან მესხიშვილის კეთილსინდისიერების (საბჭოს თხუთმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებდა აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (სამართლებრივი ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარის, ზეპირი კომუნიკაციის უნარისა და აკადემიური მიღწევების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 9 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე განწესდა ქეთევან მესხიშვილი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი